

1
1957

7



ნან. ი. ქობიაშვილისა

— ჰიჰიკო, ასე გვიან რატომ დაგვიბრუნდა ჩვენი კანკიკი?
— ფაქს იღებდა.

ზშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენი რესპუბლიკისათვის საჭირო მექანიზმები და დეტალები, აგრეთვე სამშენებლო მასალა შემოაქვთ საბჭოთა კავშირის შორეული ქალაქებიდან, მაშინ, როცა იმავე სახის მექანიზმები და მასალა, პირიქით, გააქვთ სხვა ქალაქებში, რაც იწვევს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას.
გაზეთებიდან

ჩვენს სკოლაში



(ლარას მიხედვით)

ჩემს სკოლის ამხანაგს, ლექსების ცნობილ მოტრფიალ ჰამლეტ მოდებაც სტუმრად ვეწვიე. მან უნივერსიტეტი და-
ამთავრა, რაიონში მუშაობას თბილისში უადგილოდ დარჩე-
ნა ამჯობინა, შემდეგ კი ყველას დაემდურა—უადგილოდ
დამტოვესო. კარგა ხანს იარა უქმად. საბოლოოდ ყველაფერ-
ზე გული აიყარა და მგონი უკვე ცხოვრებაშიც რჩებოდა უად-
გილოდ.

სცადა დისერტაცია დაეცვა. ჩავარდა.

— ასე ვიცით ჩვენთან, საქართველოში, კაცს არ გავახა-
რებთ! — მითხრა მან.

გუნებაში არ დავეთანხმე. მაგრამ მაინც ცვაღე გამეზ-
ნევებინა და შინ სწორედ ამიტომ ვეწვიე. ოთახში მარტო-
ხელა კაცისათვის დამახასიათებელი ქაოსი დამხვდა. თვითონ-
მასპინძელი აწეწილ საწოლში პირქვე ჩამხობილიყო. ზანტად
გადმობრუნდა და ამღვრეული, ქუთუთოებზეშუპებული თვა-
ლები მომაპყრო. გაურეცხავი ზეწარი ფეხე-
ბთან ჩასტურებოდა. მრგვალ მაგიდაზე გა-
დაშლილი წიგნები, რვეულები, პურის ნამ-
ცეცები და გაურეცხავი თევზები ეყარა. ია-
ტაკზე ფეხით მოსრესილი პაპიროსის ნამწვა-
ვები მოფანტულიყო. კედლებიდან მტვრიან
ჩარჩოში ჩასმული უცხოელი კინოვარსკვლა-
ვები მილიმოდნენ. თვალში გეცემოდათ უწე-
სრიგოდ დაწყობილი გაუწმენდავი ავეჯი,
მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი და ძირგატე-
ხილი რადიომიმღები. ჩემი ამხანაგი შეი-
შმუნა:

— ეს ოთახი კი არა, ბოსელია, მაგრამ
რას იზამ, ჩვენთან...

— ჰო, დამლაგებელსა და მრეცხავს ვერ იშოვის კაცი.

— ილია ქავჭავაძე ხომ წაგიკითხავს... კაცია ადამიანი...
ისა ვართ ჩვენ.—თქვა მან და კმაყოფილი დარჩა, რაკი თავის
უქნარობასა და უსუფთაობას გამართლება მოუძებნა.

წასვლას დავეშურე. მასპინძელმა ძალა დამატანა და სა-
უზმეზე მიმიწვია.

— რესტორანში წაგიყვანდი, მაგრამ რას იზამ, ჩვენთან,
საქართველოში, კაცს საუზმეზეც ვერ დაპატიებ. ან კი შეისვ-
ლება ჩვენს რესტორნებში?

— მართალი ხარ, ამ ბოლო დროს მაინც რესტორნებს
იმდენი ხალხი ახვევია, შესვლა გაგიძნელებდა.

გარეთ გამოვედი. მთხოვა ერთ დაწესებულებაში წავ-
ყოლოდი, სადაც იგი სამსახურის დაწყებას აპირებდა. სხვა
მიელოთ, საქმის მცოდნე და გამოცდილი.

— რას იზამ, ასეა ჩვენთან, საქართველოში... კაცს ცხვირ-
წინ მოგიკეტავენ კარებს. სხვაგან კი...—ამოიოხრა მან.

„სხვაგან, ალბათ, უგუნურისა და გამოუცდილის მიღე-
ბას არჩევდნენ“,—გავიფიქრე მე.

წიგნების მალაზიაში შემეცვანა.

— ლექსების წიგნი გამოვეცი,—უცნაური მელანქოლიით
მითხრა მან,—უფრო დიდი ტირაჟითაც რომ გამოეცათ, გაი-
ყიდებოდა...

— არც ერთი ცალი არ გაყიდულა!—გადაასხა ცივი
წყალი გამყიდველმა.

— აი ხედავ? ჩვენთან წერა არ შეიძლება. სხვაგან რომ
წამელო, სამჯერაც გამოეცემდი და დიდი ტირაჟითაც გაი-
ყიდებოდა.

„რასაკვირველია,—კვლავ გავიფიქრე მე,—სხვაგან არ არის
ისეთი წიგნები, რომლებიც არ იყიდება, და არც ისეთი უნი-
კო პოეტები, როგორიცაა ჩემი ამხანაგი ჰამლეტ მოდებაც“.

— შენ წარპოიდგინე, ჩვენთან, საქართველოში, წიგნებს
არც კი კითხულობენ.

— შენ კითხულობ?

— არა! იმიტომ, რომ წიგნის გამოცემა არ ვიცით. ან
რას წაიკითხავ საინტერესოს!

ამ ლაპარაკში სტადიონს მივალწვიეთ. იმ დღეს თბილი-
სის „დინამომ“ კარგად ითამაშა. მაგრამ თავდამსხმელებმა
რამდენიმე ბურთი გააფუჭეს. ამის შემხედვარე ჰამლეტი ცეშ-
კავდა, ადგილზე ვერ ისვენებდა.

— ოჰ, ნეტავ წაგებდნენ ჩვენები, გამეხარდება!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ვერ თამაშობენ!

— მაშ რატომ არ ინატრებ, კარგად ითამაშონ?

— ეჰ, ჩვენთან, საქართველოში, გუნდი არც უნდა იყოს...

— მაღლობა ღმერთს, ძლივს არ მოვიგეთ!..—ადგებულად
თქვა ჰამლეტმა, როცა სტადიონიდან გამო-
ვიდოდით.

გმირთა მოედანს მივუახლოვდით. ბულ-
დოზერი ბრდღინავდა, მოედანს აგანიერებ-
დნენ. ახალი ქუჩა, რომელზეც გმირთა მოედანს
ვაკესთან უმოკლესი გზით აკავშირებს, ჯერ
არ გაეხსნათ.

— რა არეულ-დარეულია აქაურობა,
მტვერი დაახრობს კაცს!—უკმაყოფილოდ
თქვა მან.

— აქ ხომ მოედანს აფართოებენ!..

— აფართოებენ, თორემ!.. ასეა ჩვენთან,
საქართველოში, იმდენს არ გავაქებთ,
რამდენსაც მტვერს დავაყენებთ...

ლამემ გაგვთიშა. ერთი კვირის შემდეგ მოდებაც თეატ-
რში შეეხვდი. სპექტაკლი არ მოსწონდა და საქართველოს
აბრალებდა. ბუფეტში მივიწვიე. არ გამომყვა:

— რას გავს ჩვენი ბუფეტი, ან კაფე. შენ ჯერ არ გინა-
ხავს ნამდვილი კაფე.

— შენ ნამდვილად არ გივლია საქართველოში, თორემ
ასე არ იტყოდი. კაფეც გვაქვს და ბუფეტიც, კარგიც და
ცუდიც. იმოგზაურე და ნახავ...

— ვიმოგზაურო?—გაიოცა მან.—რომ გაგახსენდება ჩვენი
აყრილ-დაყრილი გზები, ან ჩვენი სასტუმროები, მოგზაუ-
რობის ყოველგვარი ხალისი დაგეკარგება. აბა, სხვაგან ნახე,
ლონდონში, პარიზში, რომში...

— გინახავს ლონდონი, ან პარიზი?

— კინოში.

კვლავ გავითიშენით. მივდიოდი და ვფიქრობდი, ჩემს
ამხანაგს საქართველო კინოშიაც კი არ უნახავს.

საზაფხულოდ მანგლისში გავემგზავრე. ჰამლეტისაგან
წერილი მივიღე: „ერთი ადგილი შემომთავაზეს, მაგრამ იქ
მუშაობას ჩემს თავს არ ვაკადრებ, და რაც მეკადრება, იმას
კი არ მთავაზობენ. ასე რომ, კვლავ უადგილოდ ვარ. ეჰ,
რას იზამ, ასეა ჩვენთან, საქართველოში...“ ეს იყო ჰამლეტის
უკანასკნელი მონოლოგი.

მოდებადის ეს სიტყვები არ მაკრთობდა. არც ახლა შე-
ვუკრთივარ. მაკრთობდა ის, რომ ამ უკანასკნელ ხანს ჩვენ-
თან, საქართველოში, ამ სიტყვებს მიმდევრები აღმოუჩნდნენ.
და მე მჯერა, რომ ამ ფრაზის ავტორთა შეფარული მიზანი
ისაა, რომ თავიანთი დაუდევრობა, უქნარობა და უნიათობა
განაზოგადონ და, სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე,
ბრალი დასდონ ვინმე სხვას, თუ გაუვათ—მთელ ქვეყანას.

ჰამლეტი დღესაც უადგილოდა.

ი. მახსი



პრინციპის კახი

ფატულა თარგამაძე და ივანე ხასია ჯერ კიდევ მაშინ წაჰკიდა ბედმა ერთმანეთს, როცა ისინი ერთიმეორეს კარგად არც კი იცნობდნენ. წყენა პატარა მიზეზმა გამოიწვია: ფატულას თავისი ხელწერით უნდა დაემოწმებინა ერთი საბუთი, რომელზეც კანონით მამისს—კარპეზს უნდა მოეწერა ხელი. ამაზე ფატულამ უარი სტკიცა ხასიას, ეს უარი იტკიცა ხასიამ, მაგრამ საქმე მაინც იმგვარად მოგვარდა, რომ ფატულას იმ საბუთზე ხელი მოაწერინეს. თითქოს სულ ეს იყო, წამოვიდა ფატულა სამტრედიის რაიფინგანში, სადაც იგი საგადასახადო განყოფილებაში უფროს ბუხჰალტრად მუშაობდა, იმ იმედით, რომ მომავალში მაინც აღარ შეახვედრებდა ბედი სამტრედიის რაიონის დამზადების რწმუნებულ ივანე ხასიასთან. მაგრამ ბედი ხომ მაკლურია! მოხდა ისე, რომ ფინგანი და დამზადება შეაერთეს, ხოლო ფინგანის გამგეთ ივანე ხასია დანიშნეს. ასე რომ, ივანე—ფატულას პირდაპირი უფროსი გახდა. აი, აქ კი კარგად გაიცნო ფატულამ ივანე.

ფინგანის ახალმა გამგემ იერიშით დაიწყო: ჯერ ისეთ თანამშრომლებს გამოსდო მარყუჟი და უადგილოდ დატოვა, რომელთაც ფინგანში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ, ხასიას აზრით, იქ მუშაობა „მობეზრებოდათ“. სამაგიეროდ მათ ადგილზე ხასიამ დამზადების მუშაკები მიიწვია, რომელთაც თუმცა ფინანსების არა გაეგებოდათ რა, სამაგიეროდ დიდი სურვილი ჰქონდათ, ისევ ძველ უფროსთან ემუშავათ. „ასე დაამზადა“ ყოფილმა დამზადების რწმუნებულმა ახალი შტატი ფინანსებში გადასვლის შემდეგ.

მაგრამ... ეს „მაგრამ“ ხომ ყველას უშლის ხელს, ივანესაც უშლიდა, იმ სახით, რომ ფატულას სამსახურიდან დათხოვნა ვერაფრით ვერ მოახერხა. ესეც რომ მოგვარებულიყო, ფინგანის ახალი გამგე შტატის საბოლოო „რეორგანიზაციას“ დამთავრებულად ჩათვლიდა. ჰოდა, მდგომარეობა დაიძაბა, დაიძაბა და კიდევ გასკდა... ერთი პატარა ბოთლი, ფატულას რომ განჯინაში ჰქონდა შენახული, ბოთლიდან ჩალისფერი სითხე გადმოიღვარა და ამ სითხის ორიოდვე წვეთი იქვე მჯდარ მიხეილ პაპავას ბეჭებზე დაეპკურა. შეიქმნა ერთი აურზაური, განგაში, ირგვლივ ყველაფერი გულდაგულ შემოწმდა და განჯინაში კიდევ ერთი ბოთლი იპოვეს უცნობი სითხით. ამ სითხეებს ფინანსისტებმა ვერაფერი გაუგეს და შესამოწმებლად ქიმიკოსებს გაუგზავნეს.

ივანე ხასიამ კი მიხეილ პაპავა მოიხბო:



ნახ. ჯ. ლოლუასი

ქურსში შეიყვანა

— თქვენთან ფასების დაკლება ყველა საქონელს შეეხება?

— გარდა დირექტორისა; მისი ფასი ისევ კაპიკი დარჩა.

— ბიჭო, მართლა გადაგასხეს?

— კი.

— მერე არ უჩივი?

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ! რაღაც ორი წვეთი გადამესხა, ეს რა საჩივლელია?

— უყურეთ ამას!— შეიცხადა ივანემ.— რა იცი შენ, რა იყო იმ ბოთლში, იქნებ ტუტე იყო, ბიჭო, გოგირდმეფავა ან კიდევ რაღაცა... აჰ, ამ საქმეს ასე ვერ დავტოვებ.

...და ივანე ხასიამ ბრძანება გამოაცხობ: მოიხსნას ფატულა თარგამაძე „შეუფერებელი მოქმედებისათვის“.

დაიწერა ბრძანება და ლაბორატორიიდან პასუხიც მოვიდა: პირველ ბოთლში, საიდანაც პაპავას რაღაც სითხე გადაესხა, ჩვეულებრივი ჩაის წყალი აღმოჩნდა, მეორეში— გლიცერინის ხსნარი, რომელიც ყელში გამოსავლებად იხმარებოდა.

თითქოს ბურუსი გაიფანტა. მაგრამ თურმე სწორედ ახლა იკრიბებოდა ფატულას თავზე წვიმის ღრუბელი. ხასია პრინციპის კაცი გამოდგა და ბრძანება არ შესცვალა. ამის შემდეგ ხშირად გაიგონებდით ჩურჩულს ფინგანის თანამშრომელთა შორის: ფატულას რაიკომში უჩივლია, ფატულა აღმასკომში მისულა, ფატულას პროფკავშირში საქმე მოუგია, ფატულას სასამართლოში უჩივლია და საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვეტილა, უმაღლეს სასამართლოშიც ასევე დაუდგენიათ.

— აბა, რა გახდა ეს საქმე, აქამდე რომ არ გადაწყდა ჩვენთან! რატომ არ აღადგენს თარგამაძეს ხასია?

— პრინციპის კაცია!

ჰოდა, ეს პრინციპის კაცია 9 თვე უმუშევრად რომ ატარებს ფატულა თარგამაძეს (რომელიც 14 წელია ფინგანში მუშაობს), არ ასრულებს სახ. სასამართლოს გადაწყვეტილებას, უმაღლეს სასამართლოს დადგენილებას, არ ემორჩილება პროკურორის მითითებას. ხასიამ ალბათ არ იცის, რომ: „სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის სასამართლო აღმასრულებლის მიერ წარდგენილი მოთხოვნები სავალდებულოა ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის“.

არა გვეგონია, ხასიამ არ იცოდეს ეს. ნან წამდვილად იცის, მაგრამ ალბათ სწორედ ამ საქმეს, ჩაის კი არა, ჩაილულის წყალი გადაასხას. ასე ხდება მაშინ, როცა თანამდებობის პირი კადრების საქმეს უკადრის საქმედ გადააქცევს და თანამდებობას ბოროტად განიოყენებს.




— ჩემმა ცოლმა ნაწაროვა ნახა ცირკში და იმის შემდეგ ხულ ჩემო ვეფხვოს“ მეძახის.
— შენი მოთვინიერება გადაუწყვეტა.



— პირდაპირ ხაოცარია, ჩემი აზრი ჩვენი თავმჯდომარის აზრს დაემთხვა!
— დამთხვეული აზრები რომ საქმეს ზველიდნენ, ჩვენი არტელის საქმეც კარგად იქნებოდა.

გამწვანების გრესგვი

ნან. ნ. შალაზონიასი



— პატრცემულო ისილორე, გუშინ ვაახე—,ხეე ბი ზეზურად კვდებინა“, თხოვნაა, თანამშრომლებმა კოლექტიურად ვნახოთ.
— შენ გუშინ გინახავს და მე კი ერთი თვეა ამ ხაკითზე თათბირი ჩავატარე და ღონისძიებებიც დავხახეთ.



— როდემდის უნდა გარჩინო ამოდენა კაცი?
— ცოტაც კიდევ, მამაჩემო, და ცოლს ვითხოვ.

ნან. ე. ბერძენიშვილისა



— თუ კაცი ხარ, სად იშოვნე თმის გასაცვენე შალი?

ნან. თ. ჯიშკარიანიასი



— კი მაგრამ, თქვენ ხომ არაფერი გაგვეგებათ წარმოების, როგორ შეხმლებთ მუშაობას?
— მუშაობას არა, მაგრამ ხელმძღვანელობას კი მოვახერხებ, ამხანაგო ღირექტორო.

ახალ ბინაში

ნან. ჯ. გოგუ



მეზუთეა სახელგამა ალა დავაზავით?

ეს მეზუთე შახტი, ძმაო ნიანგო, „ტყვარჩელქვანახ- შირს“ ეკუთვნის. ჩვენ კი ვეკუთვნიტ აქაურ მუშათა კოლმქტიეს. რაკი „კუთვნიტებახე“ ჩამოვარდა სიტყვა, დაგვეთანხმები, რომ ჩვენც გვეკუთვნის გულისხმიერი კულტმომსახურება. მაგრამ რომ არ გვეკუთვნებენ აქაური კულტმუშაკები და პროფორგანიზაციას?

აი. ავილოთ, სახელდობრ კინოფილმების მოწოდება: აქაო და შახტი მოწოდებით მდებარეობსო, ჩვენთან მხოლოდ მესამე და მეოთხე კატეგორიის კინოსურათები მოაქვთ. მეტიც: რატომღაც საჭიროდ არ სთვლიან თავი შეიწუხონ და „კინოპროკატიდან“ გამოიწერონ „მაგდანას ლურჯა“, „ბაში აჩუკი“, „ჩრდილი გზახე“, „აბეზარა“ და სხვა სურათები.

— შორსა ხართ, მესამე და მეოთხე ხარისხის ფილმებიც გვეყოფათო.— გვეუბნებიან.

ძმაო ნიანგო, ერთი გამოვიკრკვიე, რა კატეგორიის და რა ხარისხისანი უნდა იყვნენ ასეთი კულტმუშაკები.

შახტელები

მეც ჩვენი საათები!

ამ საათებს რად არ ხსნიან, სადაური ადათია,— ჩვენი ელნათურებივით ჰკიდია და არ „ანთია“.

მეგობარო ნიანგო! ეს სტრიქონები წითელწყაროში ახლად შექმნილი „ხალხური ფოლკლორიდან“ ამოვიღეთ. შეიქმნა კი ეს „ფოლკლორი“ ჩვენს ქუჩებში ჩამწერივებული საათების გარშემო.

სიცოცხლე მიეცეს ჩვენს საბჭოს, ზრუნავს რომ დროს მსვლელობა გვამცნოს. ადგა და, როგორც ამბობენ, სადღაც მოშლილი საათები შეიძინა. ჩაყარა ბოძები, წამოასკუპა საათები, პირველ დღეს ამუშავა კიდევ. მაგრამ ვტყობა, საათებმა ისე მაგრა იმუშავეს, რომ ერთ დღეში განვლეს თავიანთი გასაველდი მთელი მანძილი და გაჩერდნენ, დგანან და დგანან.

ენამახვილები ოხუნჯობენ: რას ემდურით, დღე-ღამეში ორჯერ ხომ მაინც ზუსტად უჩვენებენ დროს და ესეც დიდი შეღავათიაო. ქუჩებში გამველდი მხიარული ყმაწვილები კი მდგრიან:

შენედავ და გაიოცებ, ვითომ ესეც საათია...

დაგვეხმარე, მეგობარო ნიანგო, გამოვარკვიოთ: ჩვენი საათები უფრო მეტად მოშლილია, თუ მისი ჩამოკიდებელი მუშაკები?

იმქუჩელი

შესაკლებელს მოვითხოვთ

საყვარელო ნიანგო, ჩვენს ფოსტალიონს, ალბათ შეეშალა და გახეთთან ერთად მაიაკოვსკიდან ობჩაში გაგზავნილი სხვისი ღია ბარათიც შემომიგდო ეხოში. ბავშვი სწერდა ბებოკოს: მენატრება შენი ნახვა, მაგრამ დედა უარზეა— ვერ წაგიყვან, ქუთაისიდან— ობჩაში მიმავალი გზები ისე დაზიანებულია, — ბოგირები ისე ჩამტვრეულია, რომ მანქანით კი არა, ურმითაც ვერ გავივლით...

რადგან ღია ბარათში ბავშვი ემუდარებოდა ბებოკოს. ნიანგთან გვიმუშამდგომლე, რომ მან თავის მხრივ გვიმუშამდგომლოს მაიაკოვსკის რაისაგზაო განყოფილებასთან, რომ სადგურ სვირიდან— მაიაკოვსკამდე

გზასაც მიხედოსო. ავდექი და ამ ღია ბარათის შინაარსი შენ გამოვიგზავნე, საყვარელო ნიანგო, შენ რას იტყოდი?

მშვილდანი

ნიანგს მართებულად მიაჩნია ამხ. მშვილდანის მოქმედება და საჭიროდ სთვლის დაუცადოს ზემოაღნიშნული საგზაო განყოფილების ზემოაღნიშნული მესვეურების რეაგირებას ამ ღია ბარათზე, რომელსაც, ალბათ, იგი გულდასმით ამოვიკითხავს „ნიანგის“ ამ ნომერში.

ნიანგი

ამგავი ორი ბოძისა

ძვირფასო ნიანგო! ყოფილხარ ოჩამჩირეში. გაგივლია სოფელ არადუში, გინახავს ჩვენი რადიოქსელი?

დარწმუნებული ვართ, ეს დიდი სირცხვილის მომგვრელი პატარა ამგავი არ გამოგჩებოდა.

შენ ნახავდი რაიონიდან ჩვენს სოფელამდე მიმავალ რადიოქსელს მხოლოდ ორი ბოძით— ღია შეამჩნევ. არ იფიქრო. რომ შარშანაც ასე იყო: მთელ ხაზზე მაშინ „შბალერად“ დაგხვდებოდა ჩამწერივებული მუხის ბოძები, არადუში კი ხან ბულბულს ბაძავდა ჩვენი რადიო, ხან შერჩეული რეპერტუარითა და კარგი ამბებით გვართობდა.

მაგრამ გავიდა დრო და ბოძებმაც შენი კირი წაიღო. ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ. ჩვენი ბოძები თანდათან გაქრა, დარჩა ორი ბოძი და აქა-იქ ჩამოწყვეტილი მავთული. აქედან— გასაგებია, ჩვენმა რადიომაც კირი მოგკამა.

განა დრო არ არის, ძვირფასო ნიანგო, რომ ამ ცოტა არ იყოს, უხერხულ ამბავს ჩაუკვირდნენ ოჩამჩირისა და არადუს საბჭოები?

არადუელი

ნიჩბისელები ისევ ელიან

რას ელიანო?— იკითხავ. ნიანგო. ალბათ ნიჩბისის გეოგრაფიაც დაგაინტერესებს. ეს ის სოფელია მცხეთის რაიონიდან „ერთ გადაბტომახე რომ მდებარეობს, სადგურ ქსანს ზემოდან გადმოაჭურებს და, გზა და ხიდი რომ ჰქონდეს, თბილისიც ცხვირზე აკრავს. აქაურები ბლომად მუშაობენ თბილისის წარმოებებში).




მაგრამ საიდან და როგორ? გზები ოღორღორთა, მტკვარზე ამ სოფელს ხიდი არ გააჩნია. ბორანი, მართალია, აქ ხანდახან გადი-გამოდის, მაგრამ... მხოლოდ კარგ ამინდებში. ისე კი, იცოცხლე, გაქირვებისას ბეწვის ხიდსაც მიმართავენ... აქედან დაბრკოლებები და მსხვერპლი.

ვლექტროფიციირება, რაც ქსნიდან სულ იოლად მოხერხდება, არავის ახსოვს. რადიოგაყვანილობა, რაც აქ სულ ადვილია და არაერთხელ დაიწყეს, დავიწყებას მიეცა.

დავანებოთ თავი იმას, რომ რაიონისა და სოფლის საბჭოს ხშირად ვაწუხებთ და დაპირებასაც ვლემულობთ: საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატს ამხ. დავითაშვილს ხომ წაუწერეს განცხადებაზე 1955 წლისათვის ამ „წერილმანებს“ გამოვასწორებთო. როგორც ხედავ, ამხანაგო ნიანგო, ახლა 1955 წელია, ის რეზოლუციადადებული განცხადება სადღაც მათქმვემ იცდის და ნიჩბისელები ისევ კი ელიან.

როგორ გავგზავრებდი, ამხანაგო ნიანგო, ჩვენს ხმას რომ მიაწვდენდე, სადაც ჯერ არს. ამ ბარათს საკუთარ ხელში ჩასაბარებლად გიგზავნის.

გ. გულიაშვილი



უტექსტო ხუმრობა

რედაქტორი— ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბეღიაშვილი, დ. გაბაშვილი, ს. კლდიაშვილი, გ. ჯაში, ს. ფაშალიშვილი, ო. ქელიძე.


საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის განომკველობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нванგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 10, ხელმოწ. დასაბ. 17/V-1957 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კონტინსტი“, ლენინის ქ. 14. შეფვ. № 606. უფ. 02422. ტირ. 30.000.

დასავლეთ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ შექმნილი ე. წ. „საერთო ბაზარი“ და მისი მსგავსი გაერთიანება „ევროფორია“ საშუალებას აძლევს დასავლეთ ევროპის მონოპოლისტებს გაბატონდნენ ევროპისა და აფრიკის ბაზრებზე.

გაზეთებიდან



223
საქართველოს სსრ-ის მთავრობის დასავლეთი განყოფილება

ბაზარი